

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 7

ქ.თბილისი

10.05.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

1. იოსებ სალუქვაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;
3. რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
4. ლალი ღოდელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;
5. დავით კახიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი;
6. ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი;
7. ნანა ჭილაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
8. ნინო წერეთელი - ცენტრის რეესტრის წარმოების, აპოსტილისა და ლეგალიზაციის სამსახურის უფროსი;
9. რევაზ ხოფერია - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;
10. მარინე ჟვანია - ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი;

11. ლალი შაიშმელაშვილი - ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსის მოადგილე;
12. ქეთევან ფანჭულიძე - ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს უფროსი;
13. თამარ შუდრა - ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
14. ბექა ძამაშვილი - ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
15. ლაშა მარგიშვილი - ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
16. რიჩარდ ლუსენი - დაწესებულების - სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ - დირექტორი;
17. მარინე ჯაფარიძე - დაწესებულების - სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ - დირექტორის მოადგილე;
18. ნინო თევზაძე - შპს - თბილისის აკადემიური სკოლის დირექტორი;
19. თეა შაყულაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
20. ნელი ნასყიდაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი.

ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე საბჭოს თავმჯდომარის, კახი ყურაშვილის, არყოფნის გამო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ე ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იოსებ სალუქვაძე.

იოსებ სალუქვაძემ სხდომა გახსნა 19:10სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. დაწესებულების - სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ - ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - ქართული სასწავლებელი - თბილისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - თბილისის აკადემიური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭილაძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ შემოსული იყო ორი შუამდგომლობა. პირველი მათგანი ეხებოდა ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის ავტორიზაციის საკითხის განხილვას. დაწესებულების წარმომადგენლები შუამდგომლობდნენ, რომ გადადებულიყო მათი საკითხის განხილვა.

ნანა ჭილაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 28 სექტემბრის №841-ე ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“ თანახმად, უცხო ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობების, საერთაშორისო ან უცხო ქვეყნის ორგანიზაციების მონაწილეობით დაფუძნებულ ან საქმიანობის განმახორციელებელ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ეროვნული სასწავლო გეგმისაგან განსხვავებული წესი/წესები შეიძლება მოქმედებდეს, თუ ეს შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. როგორც ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის წარმომადგენლები განმარტავენ, მათ აღნიშნული სახის წერილით უკვე მიმართეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, თუმცა ჯერ-ჯერობით პასუხი არ მიუღიათ. აქედან გამომდინარე დაწესებულების წარმომადგენლები ავტორიზაციის საბჭოს წინაშე შუამდგომლობდნენ, რომ მათი საკითხის განხილვა გადადებულიყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან შესაბამისი პასუხის მიღებამდე.

ნანა ჭილაძემ საბჭოს მოახსენა, რომ მეორე შუამდგომლობა ეხებოდა შპს - ქართული სასწავლებელი - თბილისის ავტორიზაციის საკითხის განხილვას. ნანა ჭილაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის უკეთ

შესასწავლად უმჯობესი იყო, რომ მომხდარიყო მათი საკითხის განხილვის გადადება. ავტორიზაციის საბჭოს წევრები უშუალოდ გაეცნენ აღნიშნულ შუამდგომლობებს.

იოსებ სალუქვაძემ კენჭისყრაზე დააყენა - ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადების საკითხი.

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

იოსებ სალუქვაძემ კენჭისყრაზე დააყენა - შპს - ქართული სასწავლებელი - თბილისის ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადების საკითხი.

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

ავტორიზაციის საბჭომ დღის წესრიგი დაამტკიცა შემდეგი თანმიმდევრობით:

1. დაწესებულების - სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ - ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - თბილისის აკადემიური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. დაწესებულების - სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ - ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ავტორიზაციის საჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა დაწესებულების წარმომადგენლებთან დააზუსტა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს რომელიმე წევრის მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებს ავტორიზაციის საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ განუცხადებიათ.

I. განხორციელებული პროცედურა

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა იოსებ სალუქვაძემ ცენტრის თანამშრომელს ლალი შაიშმელაშვილს სთხოვა საავტორიზაციო ვიზიტთან დაკავშირებით მოხსენების გაკეთება. ლალი შაიშმელაშვილმა დამსწრე პირებს მოკლედ გააცნო განხორციელებული პროცედურა.

დაწესებულებამ - სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით 2011 წლის 29 აპრილს მიმართა ცენტრს საავტორიზაციო განაცხადით და თანდართული დოკუმენტაციით. დაწესებულებამ წარმოადგინა თვითშეფასების შევსებული კითხვარი, დაწესებულების - სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ - წესდების დამოწმებული ასლი და ავტორიზაციის განაცხადის განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 29 აპრილის №20/ა ბრძანების საფუძველზე დაწესებულება ცნობილ იქნა ავტორიზაციის მამიებლად და მისი ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი (ჯგუფის წევრები: ლელა ქელბაქიანი, მაია ხურცილავა და ლალი შაიშმელაშვილი).

იოსებ სალუქვაძემ აღნიშნა, რომ მან შეისწავლა ცენტრის მიერ გადაგზავნილი ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა. თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრებს ჰკითხა, ჰქონდათ თუ არა საშუალება, გასცნობოდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას, რაზეც მიიღო დადებითი პასუხი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრდიტაციის სამსახურის უფროსმა, ნანა ჭილაძემ, საბჭოს წევრებს შეახსენა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 28 სექტემბრის №841-ე ბრძანებით

დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმით“ განსაზღვრული წესი, რომლის თანახმადაც უცხო ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობების, საერთაშორისო ან უცხო ქვეყნის ორგანიზაციების მონაწილეობით დაფუძნებულ ან საქმიანობის განმახორციელებელ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ეროვნული სასწავლო გეგმისაგან განსხვავებული წესი/წესები შეიძლება მოქმედებდეს, თუ ეს შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

ნანა ჭილაძემ ავტორიზაციის საბჭოს წევრებს გააცნო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი, რომლის თანახმადაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებას აძლევს დაწესებულებას - სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ - რომ განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა ეროვნული სასწავლო გეგმისაგან განსხვავებული წესების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ავტორიზაციის ექსპერტთა შენიშვნებზე, რომლებიც ეხებიან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების შეუსაბამობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, არსებობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა.

იოსებ სალუქვაძის თხოვნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსის მოადგილემ ლალი შაიშმელაშვილმა განმარტა, რომ იგი საბჭოს წევრებს გააცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემულ ფაქტობრივ გარემოებებს.

II. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - საგანმანათლებლო პროგრამები

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების (შემდგომში - ავტორიზაციის დებულება) მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას“.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

1.1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის თანახმად, დაწესებულების - სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში - სწავლების ოთხწლიანი პროგრამა ითვალისწინებს მოსწავლეთა მომზადებას როგორც საქართველოს, ასევე ევროპისა და ამერიკის წამყვანი უნივერსიტეტებისათვის.

1.1.2 სკოლაში ხუთდღიანი სასწავლო კვირაა. სასწავლო წელი დაყოფილია ტრიმესტრებად (ნაცვლად ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სემესტრებისა). სასწავლო წელი მოიცავს 36 კვირას. გაკვეთილის ხანგრძლივობაა 50 წთ. სავალდებულო საგნების მოცულობა შეადგენს წელიწადში 180 საათს. თითოეულ საგანში კვირაში ტარდება ოთხი ჩვეულებრივი და ერთი ორმაგი გაკვეთილი.

1.1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლებას, გამონაკლისს წარმოადგენს გეოგრაფია, რომელიც არ არის გათვალისწინებული სასკოლო სასწავლო გეგმაში. თუმცა, სილაბუსების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ გეოგრაფიის სწავლება ინტეგრირებულია ისტორიის სასწავლო კურსში.

ზეპირ მოსმენაზე საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ კერძო სკოლებში, საჯაროსაგან განსხვავებით, მცირედენი განსხვავებით უნდა მიმდინარეობდეს სწავლება. იმ შემთხვევაში, თუ კერძო სკოლა მთლიანად საჯარო სკოლას დაემსგავსა, ძალიან ძნელი იქნება მათ შორის განსხვავებების პოვნა და კერძო სკოლას დაეკარგება ძირითადი ღირებულებები. დავით კახნიაშვილმა დაამატა, რომ იგი პირადად იცნობდა დაწესებულებაში - სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ - დანერგილ სწავლების სისტემას და მას საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევდა.

1.1.4 ეროვნული სასწავლო გეგმისაგან განსხვავებული მიდგომაა სამოქალაქო განათლებისა და კომპიუტერული მეცნიერებების სწავლებაში. ეს საგნები არ ჩანს სკოლის საათობრივ ბადეში, მაგრამ ისინი ინტეგრირებულია სხვა საგნებში. წარმოდგენილია ორივე საგნის სილაბუსი, საიდანაც დგინდება, რომ საგნობრივი სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. კომპიუტერული მეცნიერებების სწავლება ინტეგრირებულია როგორც ყველა საგნის სასწავლო გეგმაში, ასევე ბიბლიოთეკის, საკლუბო საქმიანობის და სააღმზრდელო პროგრამის სამუშაო გეგმებში.

სავალდებულო და არჩევითი საგნების, კლუბების სამუშაო გეგმებში გათვალისწინებულია ინტერდისციპლინარული კურსები, რომელთა თემატიკა და სწავლების მეთოდოლოგია მთლიანად შეესაბამება სამოქალაქო განათლების საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

1.1.5 ეროვნული სასწავლო გეგმისაგან განსხვავებული განრიგით ისწავლება საბუნებისმეტყველო საგნები. თითოეული ინტენსიური კურსით ისწავლება ერთი წლის მანძილზე და მოიცავს 180 საათს და 36 დამატებით საათს არჩევითი კურსისათვის, რომელიც გამოცდისათვის მზადებას ეთმობა. პროგრამის მოცულობა ქიმიასა და ფიზიკაში განსხვავდება ეროვნული სასწავლო გეგმისაგან, სადაც ამ საგნებისათვის ჯამში გათვალისწინებულია 292 საათი. თუმცა, ინტენსიური კურსი (კვირაში 5 საათი) და სწავლების ინტერაქტიული მეთოდები აბალანსებს ამ განსხვავებას. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული საგნების ინტენსიური კურსით სწავლების გამო, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგები მიღწევადია. ამავე დროს, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ ამერიკულ აკადემიაში, განსხვავებით საჯარო სკოლებისაგან, გაკვეთილი 45 წუთის ნაცვლად 50 წუთიანია. 180 საათიანი კურსის შემთხვევაში განსხვავება დროში არის 20 ორმოცდახუთწუთიანი გაკვეთილი. შესაბამისად, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სილაბუსებში ჩამოყალიბებული ზოგადი და საგნობრივი კომპეტენციები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგებს.

1.1.6 არჩევითი საგნები - ევროპისა და ამერიკის თანამედროვე ისტორია, დიპლომატიის ისტორია (უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე), დასავლური ფილოსოფიის ისტორია, მხატვრული ტექსტის შექმნა და ინტერპრეტაცია, ამერიკული პოპულარული კულტურის თემები, გამომდინარეობს სკოლის მისიიდან.

ზეპირ მოსმენაზე ლალი შაიშმელაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული საგნების სილაბუსების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ არჩევითი საგნების ელემენტები ინტეგრირებულია დაწესებულების ძირითადი ან ინტერდისციპლინარული კურსის სილაბუსებში.

1.1.7 სახელმძღვანელოების ჩამონათვალში ყველა საგანში მითითებულია როგორც გრიფირებული, ასევე, უცხოური სახელმძღვანელოები დამხმარე მასალის სახით. სახელმძღვანელოების ნუსხა დამტკიცებულია პედსაბჭოს მიერ.

ზეპირ მოსმენაზე ავტორიზაციის საბჭოს წევრმა ანა კლდიაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ხელოვნების კურსი ისწავლებოდა თუ არა აკადემიაში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული დისციპლინა მე-12 კლასში ისწავლება ერთი წლის განმავლობაში.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება:

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები“.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

2.1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის თანახმად, სავალდებულო და არჩევითი საგნების სასწავლო გეგმები, სილაბუსები, ცალკეული გაკვეთილების გეგმები წარმოაჩენს, რომ მოსწავლეები აკადემიაში იძენენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ცოდნას, უნარსა და ღირებულებებს.

2.1.2 თითოეული საგნის სილაბუსში აღწერილია, თუ რა გზით არის დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევა. მაგალითად, მათემატიკის სასწავლო კურსი უხვად არის გაჯერებული ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების მაგალითებით (შემოსავალი, დანახარჯი, მოგება, ნულოვანი გადასახადები, ბიუჯეტი, ბაზრები, ფასების რეგულირება, საბანკო პროცენტი და სხვა). დამოუკიდებელი აზროვნების განვითარების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებას.

2.1.3 უცხოური ენის სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ლიტერატურას, გრამატიკას, ენის სტრუქტურას, წინადადების აგებასა და ვარირებას. მოსწავლეებს ყოველდღიურად ეძლევათ კითხვითი დავალებები. აქტივობები მოიცავს დისკუსიებს, ზეპირ პრეზენტაციებს, თხზულებების წერას.

2.1.4 დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევების გასავითარებლად ბევრი საგნობრივი პროგრამა ითვალისწინებს მოსწავლისთვის საინტერესო საკითხის დამუშავებას, რომელიც არ შედის საგნობრივ პროგრამაში და პრეზენტაციის გაკეთებას. საზოგადოებრივი მეცნიერებების სასწავლო კურსი ორიენტირებულია კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარების განვითარებაზე. დასახული მიზნებიდან გამომდინარე, ამ საგნობრივი ჯგუფის პრიორიტეტია სხვადასხვა პირველად და მეორად წყაროზე მუშაობა.

2.1.5 სკოლაში ყველა საგანი ისწავლება ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით.

2.1.6 აკადემიის ყველა მოსწავლეს პირველივე წლის დასაწყისში ენიშნება დამრიგებელი. ყოველი კლასისთვის სადამრიგებლო პროგრამის შედგენაში მონაწილეობს ფსიქოლოგი. სადამრიგებლო პროგრამა მოიცავს როგორც მოსწავლეთა ადაპტირებისათვის ინდივიდუალურ მუშაობას, ასევე, სააღმზრდელო პროგრამას. სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში სკოლის ფსიქოლოგი ატარებს სემინარებს შემდეგ თემებზე: ეფექტური კომუნიკაცია, დროის ეფექტური მართვა, კონფლიქტების მართვა, მუქარის/ძალადობის/აბუჩად აგდების პრევენცია, ბრაზისა და აგრესიის მართვა. ფსიქოლოგი ხშირად ესწრება გაკვეთილებს და აკვირდება მოსწავლეების ქცევას. პრობლემების გამოვლენის შემთხვევაში მოსწავლესთან, მშობლებთან ინფორმირებისა და მათი თანხმობის შემდეგ ხდება ჩარევა. ჩარევას აქვს მხოლოდ რჩევის სახე. ხშირად მოსწავლეები თავად მიმართავენ ფსიქოლოგს დახმარებისათვის. მოსწავლეებთან უფრო ეფექტური და გულახდილი კომუნიკაციის მიზნით დამრიგებლებს ჰყავთ ასისტენტები - პრეფექტები - სანიმუშო სწავლითა და ქცევით გამორჩეული მე-12 კლასელები. სულ 5 პრეფექტია სკოლაში - ყოველ დონეზე თითო.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის“.

3.1. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

3.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებაში მოსწავლეთა მცირე რაოდენობა, კარგად აღჭურვილი კლასები, საკლასო სივრცე და აქტივობების მრავალფეროვნება იძლევა სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართვის საშუალებას.

სკოლის ინკლუზიური განათლების კონცეფციის შემუშავებასთან დაკავშირებით, პერსონალს ჩაუტარა ტრენინგები ფსიქოლოგიის დოქტორმა, ქეთი მაკლენმა.

3.1.2 აკადემიას აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა მიმართავს დისტანციურ სწავლებას. სკოლას ამჟამად არ ჰყავს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეები, თუმცა, რამდენჯერმე, ჯანმრთელობის პრობლემების გამო (დასჭირდათ ჰოსპიტალიზაცია და დაენიშნათ ხანგრძლივი წოლითი რეჟიმი), მოსწავლეებს შეეძინათ განსაკუთრებული საჭიროებები და მათთან სამუშაოდ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და დისტანციური სწავლების ფორმები იქნა გამოყენებული. მოსწავლეები არ ჩამორჩნენ პროგრამას, მათ ყოველდღიურად მიეწოდებოდათ დავალებები, რომლებსაც მასწავლებლები უმოწმებდნენ და აფასებდნენ.

3.2. ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად“.

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

4.1.1 ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულია, რომ შეფასების სისტემა ასქულიანია. 94-100 ქულა ყველაზე მაღალი A შეფასებაა, 50-59 ქულა D - ყველაზე დაბალი. აკადემიის შეფასების

სისტემას ახლავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემასთან თავსებადობის დამადასტურებელი კონვერტირების მექანიზმი:

94 -100 A =10 ქულა;

89-93 A- =9 ქულა;

84-88 B+ =8 ქულა;

80-83 B = 7 ქულა;

76-79 B- = 6 ქულა;

72-75 C+ =5 ქულა;

68-71 C =4 ქულა;

64-67 C- =3 ქულა;

60-63 D+ =2 ქულა;

50-59 D/ D =1 ქულა;

50-ზე ქვევით - ჩაჭრა.

ყოველი კურსის სწავლება იწყება კურსის მიმოხილვით და მოსწავლეებისათვის შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების გაცნობით, რომელთა შემუშავებაც ხშირად თავად მოსწავლეების ჩართულობით ხდება. ყველა დავალებას ახლავს შეფასების კრიტერიუმები. მოსწავლეს სისტემატიურად უკეთდება მასწავლებლის მიერ განმარტება შესრულებული დავალების შეფასების შესახებ. უკუკავშირის დროს მასწავლებელი მოსწავლესთან ერთად რუბრიკების მიხედვით აფასებს ნამუშევარს და აჩვენებს მოსწავლეს, სად ჰქონდა შეცდომები, ან სუსტი მხარეები. მოსწავლე ყოველ საგანში ადგენს წარმატების პორტფოლიოს, რომელშიც დებს თავისი შრომის ყველაზე წამატებულ მაგალითებს და რომელიც საკუთარი ზრდის ილუსტრირებას ახდენს. ასეთი მასალა გროვდება ყოველ წელს ყოველ საგანში. შერჩეულ მასალას მოსწავლე უკეთებს მოკლე ანოტაციას, სადაც განმარტავს, რა დატვირთვა აქვს შერჩეულ მასალას. მასალის შერჩევის დროს მოსწავლეები იყენებენ საგნის რუბრიკებს.

4.1.2 მე-9-10 კლასის ბოლოს მოსწავლე აბარებს უნარ-ჩვევების გამოცდას, რომელზეც მოწმდება კრიტიკული აზროვნების, დასკვნის გაკეთების უნარი და სხვა. სკოლაში დანერგილია მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სისტემა.

ზეპირ მოსმენაზე ცენტრის რეესტრის წარმოების, აპოსტილისა და ლეგალიზაციის სამსახურის უფროსმა ნინო წერეთელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული შეფასების სისტემა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას, კერძოდ, ეროვნულ სასწავლო გეგმას. მისი აზრით, სკოლას აქვს სრული უფლება, ჰქონდეს საკუთარი შეფასების სისტემა, ოღონდ უნდა მოხდეს მისი კონვერტაცია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შეფასების სისტემის მიხედვით. ლალი შაიშმელაშვილმა დაამატა, რომ დაწესებულების - სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ - მიერ განხორციელებული მოსწავლეთა შეფასებების კონვერტაცია სრულ შესაბამისობაში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით“.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

5.1.1 ექსპერტთა დასკვნაში მოცემულია, რომ მშობლის ინფორმირების მიზნით, ვებგვერდზე ყოველდღიურად იდება მოსწავლეებისათვის მიცემული დავალებები, რაც საშუალებას აძლევს მშობელს, თვალყური ადევნოს სახლში მოსწავლის მიერ დავალებების შესრულების სამუშაო პროცესს. ყოველ დამრიგებელს აქვს კონტაქტი საგნის მასწავლებელთან და სრულ ინფორმაციას ფლობს თითოეული მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და ყოფაქცევის შესახებ. მოსწავლეთა შეფასებები ყოველდღიურად განთავსდება სკოლის ელექტრონულ ჟურნალში, სადაც დამრიგებელს ყოველდღიურად შეუძლია ნახოს და საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს საჭირო ზომები. დამრიგებელს ევალება ყოველ

კონკრეტულ ფაქტზე მშობლის ინფორმირება. ამისათვის გამოიყენება სატელეფონო ზარები, ელექტრონული მიმოწერა, წერილები და სხვა. მშობლებთან ურთიერთობა 2 დონეზე რეგულირდება - ადმინისტრაციისა და დამრიგებლის. მასწავლებლის დონეზე გაჩენილ პრობლემას ჯერ დამრიგებელი აგვარებს, შემდეგ, თუ არ მოგვარდა, ერევა ადმინისტრაცია.

5.1.2 სკოლის ცხოვრებაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა თავსდება სკოლის ვებგვერდზე და მშობლებს საშუალება აქვთ, სურვილის შემთხვევაში, მიიღონ მონაწილეობა მათთვის საინტერესო ღონისძიებებში. მშობლები შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას იღებენ სისტემა Naviance (<https://succeed.naviance.com>)-ის საშუალებით.

5.1.3 მშობლები მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღებაში. სკოლაში მოქმედებს არჩევითი ორგანო - მშობელთა საბჭო.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი“.

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

6.1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის თანახმად, ყველა საგნის და ყველა კლასის სილაბუსი დევს აკადემიის ვებგვერდზე. თითო საგანს ასწავლის ორი მასწავლებელი. სილაბუსების და გაკვეთილის გეგმების შემუშავება ხდება წყვილში. ყველა დეპარტამენტი წლის დასაწყისში აკეთებს კურსის პრეზენტაციას. მთელი წელი ხდება ამ გეგმის მონიტორინგი, წლის ბოლოს ხდება შეფასება და ახალი სასწავლო გეგმის შემუშავება. ეს არის მუდმივი ციკლი. დეტალურად ფასდება, თითოეულ საგანში რა მასალამ იმუშავა, სად იყო სირთულე. მონიტორინგი და შეფასება მუდმივი, სასწავლო პროცესის თანმდევი რუტინაა.

6.1.2 სასწავლო გეგმის შეფასებისათვის მოსწავლეები წლის მანძილზე ერთხელ აუცილებლად და ხანდახან უფრო ხშირადაც ავსებენ კითხვარებს, რომლითაც ხდება ერთი

კონკრეტული საგნის შეფასება. სასწავლო წლის განმავლობაში ყველა ბავშვი აფასებს ყველა საგანს. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით ხდება ცვლილებების შეტანა სასწავლო გეგმაში. ძირითადად, მოსწავლეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები განსაზღვრავს თემატიკის შერჩევას ინტერდისციპლინარულ კურსში Great Ideas, რომელიც მოსწავლეთა სურვილით მაქსიმალურად დაუახლოვდა საუნივერსიტეტო კურსს.

6.1.3 მასწავლებელთა ურთიერთდასწრება გავრცელებული პრაქტიკაა. ამ ეტაპზე ჯერ მხოლოდ დაკვირვებაა დანერგილი, შემდეგში მოჰყვება ურთიერთშეფასება. ადმინისტრაცია წელიწადში 2-ჯერ ყველა მასწავლებელს ესწრება და აფასებს. უკუკავშირი კონფიდენციალურია და მას ეცნობა მხოლოდ ადრესატი. წლის ბოლოს აფასებენ ყველა მასწავლებელს. შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

ზეპირ მოსმენაზე ავტორიზაციის საბჭოს წევრმა ლალი ღოღელიანმა დააფიქსირა მისი პირადი მოსაზრება დაწესებულების - სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ - შესახებ. ლალი ღოღელიანმა აღნიშნა, რომ სს - გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში არის ერთ-ერთი გამორჩეული სკოლა. მან შეკითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ არსებობდა სტატისტიკური მონაცემები, იმის შესახებ, თუ ძირითადად რომელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ირიცხებოდნენ სკოლადამთავრებულები. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ისინი აღნიშნულის თაობაზე ყოველწლიურად აჯამებდნენ მონაცემებს. მას ასევე აღნიშნა, რომ სკოლადამთავრებულთა უმრავლესობა სწავლას აგრძელებდა საზღვარგარეთის ქვეყნების სასწავლებლებში. სკოლადამთავრებულთა დაახლოებით 7-8 პროცენტი კი სწავლას აგრძელებს საქართველოს სხადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

ლალი ღოღელიანი დაინტერესდა, თუ რატომ აბარებდა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიის მოსწავლეთა ასეთი მცირე რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკადემიის მოსწავლეები სწავლის გასაგრძელებლად უკვე მაისის თვეშივე აგზავნიდნენ თავიანთ დოკუმენტაციას ევროპისა თუ ამერიკის შერჩეული

შტატების უნივერსიტეტებში. დაწესებულების წამომადგენლის განამარტებით, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გასული მათი სკოლადამთავრებულთა აბსოლუტური უმრავლესობა ხვდება უმაღლეს სასწავლებლებში.

III. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - მატერიალური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა.ა) ერთ მისამართზე 250 კვ.მ ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებკონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

1.1.1 დასკვნის თანახმად, დაწესებულებას იჯარით აქვს აღებული შპს „ელიტას“ კუთვნილი ორსართულიანი კეთილმოწყობილი შენობა თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. №37ა-ში. ხელშეკრულება დადებულია 2001 წლის 14 თებერვალს, განახლებულია ორჯერ და ძალაშია 2012 წლის 30 ივნისამდე.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

	მისამართი	კვ.მ.
	თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 37ა	2569 კვ.მ.

ა.ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით;

1.1.2 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ყველა საკლასო ოთახი

აღჭურვილია ე.წ. „ჰარკნესის“ მაგიდით, სკამებით, დაფებით, მასწავლებლის მაგიდითა და კარადებით. ბიოლოგიის, ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიებში დამატებით განთავსებულია შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა და აპარატურა.

ზეპირ მოსმენაზე დავით კახნიაშვილი დაინტერესდა, იყო თუ არა სკოლა აღჭურვილი ინდივიდუალური მერხებით. ლალი შაიშმელაშვილმა აღნიშნა, რომ აკადემიაში კლასების შიდა მოწყობა იყო განსხვავებული, კერძოდ, კლასები მოწყობილი იყო ოვალური ფორმის მაგიდებით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭილაძემ დაამატა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს ცენტრის თანამშრომლები მათ განუმარტავენ, რომ ინდივიდუალური მერხი არ გულისმობს მასზე მხოლოდ ერთი ადამიანის ჯდომის შესაძლებლობას. ინდივიდუალური მერხის ცნების მთავარი ელემენტი არის ის, რომ თითოეული ასაკის ბავშვისთვის ინდივიდუალურად უნდა იყოს გათვალისწინებული შესაბამისი ზომის მერხი. მაგალითად, დაუშვებელია, რომ 6 ან 7 წლის მოსწავლე დავსვით 17 წლის მოსწავლისათვის განკუთვნილი ზომის მერხთან. დავით კახნიაშვილი მთლიანად დაეთანხმა ნანა ჭილაძის მოსაზრებას.

ა.გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი”.

1.1.3 დასკვნაში მოცემულია, რომ სკოლას არა აქვს საკუთარი სპორტული მოედანი/დარბაზი, მაგრამ გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციასთან და მოსწავლეებს სთავაზობს საკუთარი ინტერესების შესაბამისი არჩევანის გაკეთებას სპორტის შემდეგ სახეობებში: ფეხბურთი, კალათბურთი, ცურვა, ჩოგბურთი, აერობიკა, ციგურაობა, ფიტნესი და სხვ. მოსწავლეების ტრანსპორტირებას სპორტულ დაწესებულებებში უზრუნველყოფს აკადემია.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები”.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

2.1.1 დასკვნაში აღნიშნულია, რომ სკოლას უწყვეტად მიეწოდება ელექტროენერგია; ორივე სართულზე განთავსებულია სველი წერტილები; ყველა საკლასო ოთახს გააჩნია ბუნებრივი განათება; შენობას აქვს საკუთარი საქვაბე გათბობისა და თბილი წყლის უზრუნველსაყოფად.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით“.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

3.1.1 დასკვნის თანახმად, ბიბლიოთეკაში დაცულია: წიგნები ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე (დაახლოებით 7 000 ერთეული); სახელმძღვანელოების კოლექცია (300-ზე მეტი სახელწოდების დაახლოებით 11 500 ერთეული), რომელიც მოიცავს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული წიგნების მოსწავლეების, მასწავლებლების, საკლასო და ბიბლიოთეკის ეგზემპლარებს; ვიდეო და აუდიო მასალა (დაახლოებით 500 ერთეული).

3.1.2 ბიბლიოთეკაში ასევე ჩართულია ელექტრონული ბაზა - Infotrac (ინგლისურენოვანი პერიოდიკა, საცნობარო ლიტერატურა, მულტიმედია და პირველადი წყაროები ციფრულ ფორმატში); ელექტრონული კატალოგი „ალექსანდრია“. ბიბლიოთეკაში არის ინტერნეტში ჩართული 12 კომპიუტერი, ასევე პრინტერები და ქსეროქსები. კოლექციის გამდიდრება ხდება ყოველწლიურად მასწავლებლებისა და მოსწავლეების მოთხოვნების გათვალისწინებით; რეგულარულად ეწეობა ახალი წიგნების გამოფენები.

3.1.3 ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი (კვირაში 51 საათი) და სარგებლობის წესი გაწერილია მოსწავლეთა შინაგანაწესში და გამოკრულია ბიბლიოთეკაში.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.“

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

4.1.1 სკოლა ორსართულიან შენობაშია განთავსებული.

პირველ სართულზე განთავსებულ აუდიტორიებში შეიძლება იმ კლასებს დაენიშნოთ მეცადინეობა, რომლებშიც შეზღუდული უნარის მქონე მოსწავლეები იქნებიან. ყველა საკლასო ოთახი იმდამკარად არის მოწყობილი და აღჭურვილი, რომ სსსმ მოსწავლეებს არ შეექმნებათ სირთულე საგაკვეთილო პროცესში ჩასართავად და ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე მიიღებენ მონაწილეობას სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ნებისმიერ აქტივობაში.

შენობაში შესასვლელად საჭიროა 2 საფეხურის ავლა. შესასვლელში მუდმივად იმყოფება დაცვის თანამშრომელი, რომელიც დაეხმარება შეზღუდული შესაძლებლობის პირს საფეხურების გადალახვაში. თუმცა, სასურველი იქნებოდა, შენობაში გაკეთდეს პანდუსები არა მარტო შესასვლელში, არამედ შიდა კიბეებზეც, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები (თუკი ასეთები იქნებიან სკოლაში) უზრუნველყოფილი იყვნენ ყველა საგანმანათლებლო რესურსით.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას“.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

5.1.1 ექსპერტთა დასკვნაში მოცემულია, რომ აკადემიას აქვს ერთი კომპიუტერული კლასი, კომპიუტერების საერთო რაოდენობაა 71, ყველა მათგანი ჩართულია შიდა ქსელსა და ინტერნეტში. გარდა ამისა:

- ელექტრონული ბაზა Infotrac (ინგლისურენოვანი პერიოდიკა, საცნობარო ლიტერატურა, მულტიმედია და პირველადი წყაროები ციფრულ ფორმატში);
- ვიდეო და აუდიო მასალა (დაახლოებით 500 ერთეული);
- ელექტრონული კატალოგი „ალექსანდრია“;
- ვებგვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ; ინფორმაცია/მასალები სკოლის პერსპექტიული მოსწავლეებისთვის, ახალი ამბების ბიულეტენი, საწავლო კურსების აღწერილობები, სილაბუსები, ყოველდღიური დავალებები და სხვ.

აკადემია ჩართულია საერთაშორისო მონაცემთა ბაზაში Naviance, აგრეთვე იყენებს მოსწავლეთა შეფასებისა და დასწრების აღრიცხვის ელექტრონული სისტემას.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

- ვ.ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ვ.ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
- ვ.გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- ვ.დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები“.

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

6.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას გააჩნია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ყველა ოთახში დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაცია, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა.

- სკოლაში არის საექიმო კაბინეტი, აღჭურვილი ყველა საჭირო მოწყობილობითა და მედიკამენტით. სკოლაში მუდმივად იმყოფება ექიმი.

- სკოლას ჰყავს დაცვის ხუთი მუშაკი, რომლებიც უზრუნველყოფენ წესრიგის დაცვას სკოლის შენობასა და ეზოში, ცენტრალურ შესასვლელში დამონტაჟებულია მეტალო დეტექტორი.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

7. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები“.

7.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

7.1.1 ექსპერტთა დასკვნის თანახმად, სკოლას აქვს წესდება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა შინაგანაწესები.

7.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

8. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები,

გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს”.

8.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

8.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლის განვითარების ექვსწლიანი გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან. მასში ძირითად პრიორიტეტად განსაზღვრულია სკოლის ახალი შენობისა და კამპუსის აშენება და მოწყობა. გაუმჯობესებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისად არის დაგეგმილი აკადემიური და კლასგარეშე პროგრამების გაფართოება და დახვეწა. რაც შეეხება ერთწლიან გეგმას, მასში სასწავლო პროცესის შემადგენელი ღონისძიებების გარდა, პრიორიტეტად დასახელებულია სკოლის საიუბილეო, მეათე სასწავლო წლის აღნიშვნასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

8.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

9. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა”.

9.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

9.1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულ ია, რომ აკადემიაში შექმნილია ბრძანებების აღრიცხვისა და კორესპონდენციის რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა, რომელშიც აღირიცხება ყველა ბრძნება, გამოცემული აქტი, შემოსული და გასული კორესპონდენცია.

9.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

IV. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - ადამიანური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი.“

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

1.1.1 დასკვნის მიხედვით, აკადემიის სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო პროცესს განახორციელებენ სათანადოდ მომზადებული სპეციალისტები, სულ 29 მასწავლებელი, რომელთა განათლება შესაბამისია მათ მიერ წაყვანილ სასწავლო კურსთან.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად“.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

2.1.1 ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულია, რომ სკოლის მასწავლებლები შერჩეული არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სკოლის სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. ყოველ მათგანს გააჩნია საჭირო საგნობრივი და პედაგოგიური ცოდნა იმ მიზნების განსახორციელებლად, რასაც მათ სკოლის სასწავლო გეგმა უსახავს.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა“.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

3.1.1 დასკვნის მიხედვით, აკადემიაში მასწავლებელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისების და სანქციების მოქმედი სისტემა დაწვრილებით აღწერილია მასწავლებელთა შინაგანაწესში.

თანამშრომლების შერჩევა და მიღება შემდეგ ეტაპებს მოიცავს:

- გამოცხადებულ ვაკანსიაზე შემოსული რეზიუმეებისა და დოკუმენტაციის განხილვა;
 - გასაუბრება შერჩეულ კანდიდატებთან (გასაუბრებაში მონაწილეობს სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა სრული შემადგენლობა);
 - შერჩეული კანდიდატების მიერ სადემონსტრაციო გაკვეთილების ჩატარება;
- ყოველ ეტაპზე გამოიყენება შეფასების სპეციფიური კრიტერიუმები. სადემონსტრაციო გაკვეთილების შეფასებაში მონაწილეობენ მოსწავლეებიც.

თანამშრომლის გათავისუფლება ხდება:

- ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
- ბ) თანამშრომელთა შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში.

წახალისების ღონისძიებები:

- სკოლაში არსებობს პროფესიული განვითარების ფონდი, რომელიც აფინანსებს მასწავლებელთა მონაწილეობას პროფესიულ სემინარებში, კონფერენციებში და სხვ.
- თანამშრომლები სარგებლობენ ანაზღაურებული შემოქმედებითი შვებულებით;
- სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლებს სამედიცინო დაზღვევით და გადარიცხავს თანხებს საპენსიო ფონდში;

ყველა გადაწყვეტილება წახალისებისა და სანქციების შესახებ მიიღება შესაბამისი დოკუმენტებით განსაზღვრული წესების სრული დაცვით და აბსოლუტურად გამჭვირვალედ.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები“.

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

4.1.1 სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები“.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

5.1.1 დასკვნის თანახმად, სკოლაში არსებობს პროფესიული განვითარების ფონდი, რომელიც აფინანსებს მასწავლებელთა მონაწილეობას პროფესიულ სემინარებში, კონფერენციებში და სხვ.

- თანამშრომლები სარგებლობენ ანაზღაურებადი შემოქმედებითი შვებულებით 8 წელში ერთხელ;

- სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს „განათლების განვითარებისა და კვლევის ცენტრი“, რომელიც რეგულარულად ატარებს პედაგოგიურ სემინარებს, კონფერენციებსა და ტრენინგებს.

- სკოლა გამოსცემს ქართულ-ინგლისურ პედაგოგიურ ჟურნალს „განათლებისთვის“.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას”.

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

6.1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, აკადემიას მოსწავლეებისა და თანამშრომლებისათვის შემუშავებული აქვს ქცევის ნორმები, რომელიც გაწერილია შინაგანაწესებში. მოსწავლეები მონაწილეობენ სკოლის მართვაში, არჩევითი ორგანოებია კლასის პრეზიდენტები და ვიცე პრეზიდენტები. პრეზიდენტები და ვიცე პრეზიდენტები პრეფექტებთან ერთად ქმნიან სტუდენტთა საბჭოს. პრეზიდენტებსა და ვიცე პრეზიდენტებს ირჩევენ ყველა კლასიდან, ხოლო პრეფექტები არიან დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები. პრეზიდენტებს ირჩევენ თანაკლასელები, ხოლო პრეფექტებს ირჩევენ მასწავლებლები და ადმინისტრაცია. სკოლის ყველა ღონისძიება იგეგმება კომიტეტის მიერ, რომელშიც მონაწილეობს მშობელთა საბჭოს წარმომადგენელი.

6.1.2 სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბები: საზოგადოებრივი საქმიანობისა და ქველმოქმედების კლუბი, შაბათის სკოლა, დებატების კლუბი, ლიტერატურული ურთიერთობების შემსწავლელი კლუბი, ინტელექტ კლუბი, ფსიქოლოგიის კლუბი, თეატრალურთა კლუბი, ანტიკურობის კლუბი, რომლებსაც მოსწავლეები ირჩევენ საკუთარი ინტერესების მიხედვით.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

V. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დაწესებულებისთვის - სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში” - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

VI. გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, დაწესებულებას - სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ - მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 642-ით.

2. შპს - თბილისის აკადემიური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ავტორიზაციის საჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა იოსებ სალუქვაძემ შპს - თბილისის აკადემიური სკოლის წარმომადგენელთან დააზუსტა, ხომ არ ჰქონდა მას საბჭოს რომელიმე წევრის მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელს ავტორიზაციის საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ განუცხადებია.

I. განხორციელებული პროცედურა

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ცენტრის თანამშრომელს ლაშა მარგიშვილს სთხოვა საავტორიზაციო ვიზიტთან დაკავშირებით მოხსენების გაკეთება. ლაშა მარგიშვილმა დამსწრე პირებს მოკლედ გააცნო განხორციელებული პროცედურა.

შპს - თბილისის აკადემიურმა სკოლამ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, 2011 წლის 13 აპრილს მიმართა ცენტრს საავტორიზაციო განაცხადით და თანდართული დოკუმენტაციით. დაწესებულებამ წარმოადგინა თვითშეფასების შევსებული კითხვარი, შპს - თბილისის აკადემიური სკოლის წესდების დამოწმებული ასლი და ავტორიზაციის განაცხადის განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 15 აპრილის №18/ა ბრძანების საფუძველზე დაწესებულება ცნობილ იქნა ავტორიზაციის მაძიებლად და მისი ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი (ჯგუფის წევრები: თეა შაყულაშვილი, ნელი ნასყიდაშვილი და ლაშა მარგიშვილი).

იოსებ სალუქვაძემ აღნიშნა, რომ მან შეისწავლა ცენტრის მიერ გადაგზავნილი ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა. თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრებს ჰკითხა, ჰქონდათ თუ არა საშუალება, გაცნობოდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო.

საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის თხოვნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორმა ლაშა მარგიშვილმა განმარტა, რომ იგი საბჭოს წევრებს გააცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემულ ფაქტობრივ გარემოებებს.

II. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - საგანმანათლებლო პროგრამები

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას“.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

1.1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის თანახმად, შპს - თბილისის აკადემიური სკოლის მისიაში მოცემულია, რომ სწავლების პრიორიტეტია უცხო ენების და სხვა სასწავლო დისციპლინების გაღრმავებული სწავლება. სასკოლო სასწავლო გეგმაში კი გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი უცხო ენის (ინგლისურის) და არა ენების სწავლებისას 1 საათიანი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით კი სხვა სასწავლო დისციპლინების გაღრმავებულ სწავლებაში იგულისხმება ბიოლოგიის და გეოგრაფიის საგნის სწავლება ინგლისურ ენაზე.

1.1.2 დაწესებულების მიერ შემუშავებული სასკოლო საათობრივი ბადე მოიცავს საბაზო და საშუალო საფეხურის თითოეული კლასის (მე-12 კლასის გარდა) გაკვეთილების განრიგს, რომელშიც დაზუსტებულია ხუთ სასწავლო დღეზე თუ რომელი საგანი რა თანმიმდევრობით და რამდენი საათი (აუცილებელი დატვირთვის გათვალისწინებით) უნდა ისწავლებოდეს (სკოლას ფუნქციონირება არ დაუწყია). ასევე ინგლისური ენის სწავლება კვირაში ნაცვლად 5 საათისა, მე-7 და მე-8 კლასებში მოიცავს 6 საათს. მე-7, მე-8 და მე-9 კლასებში, კვირაში თითო-თითო საათი ეთმობა გეოგრაფიისა და ბიოლოგიის სწავლებას ინგლისურ ენაზე.

1.1.3 დასკვნის თანახმად, საერთოდ არ არის გათვალისწინებული კლასების მიხედვით თუ ვინ უნდა ასწავლოს სასკოლო საათობრივ ბადეში აღნიშნული საგნები, ასევე არ არის მოცემული მუსიკის სწავლება მე-9 კლასში.

1.1.4 დასკვნის შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო მომსახურებაში მოაზრებულია ბიოლოგიისა და გეოგრაფიის ინგლისურ ენაზე სწავლება მე-8, მე-9 და მე-10 კლასებში, რომელსაც მინიჭებული აქვს საგნობრივი ენის

სტატუსი და სწავლებას დათმობილი აქვს, თითოეულ საგანში, კვირაში ერთი საათი. თუმცა დეტალურად არ არის გაწერილი სასწავლო პროგრამები არც ბიოლოგიაში(ინგ) და არც გეოგრაფიაში (ინგ), ანუ დეტალურად არ არის მოცემული აღწერა იმ ცოდნისა და უნარებისა, რის განვითარებასაც ეს კურსი უწყობს ხელს, ასევე არ არის გაწერილი შეფასების პრინციპები (როგორ ხდება შეფასება და რა საჭირო რესურსებს ითვალისწინებს პროგრამა).

1.1.5 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებაში არის სახელმძღვანელოების ჩამონათვალი კლასების მიხედვით, თუმცა დაცული არ არის სახელმძღვანელოების არჩევის წესები (მაგალითად: სახელმძღვანელოების არჩევა კათედრების მიერ, დამტკიცება პედაგოგიური საბჭოს მიერ, სიის სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობა და ა. შ.).

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება:

დაწესებულება არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები“.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მ ოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

2.1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის თანახმად, დაწესებულების მიერ შემუშავებულ არცერთი საგნის სასწავლო გეგმაში არ ჩანს, როდის ისწავლება ესა თუ ის თემა, რომელი პირველ სემესტრში და რომელი მეორე სემესტრში, თუ ორივე ერთ-ერთ სემესტრში. ასევე არ არის აღნიშნული სწავლების რა მეთოდები გამოიყენება მასწავლებლების მიერ, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნის, უნარების და ღირებულებების გამომუშავებისათვის.

2.1.2 დასკვნის მიხედვით, არ არის წარმოდგენილი საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმები და საგნობრივ პროგრამებში შეფასების კრიტერიუმები.

2.1.3 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის შესაბამისად, დაწესებულების მიერ შემუშავებული არ არის მე-12 კლასის საგნობრივი პროგრამები.

2.1.4 მე-8 კლასში არ არის - სამოქალაქო განათლების, ქიმიის, ბიოლოგიის (ინგ), გეოგრაფიის (ინგ), სპორტის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის სასკოლო სასწავლო გეგმები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკის და რუსული ენის სასწავლო გეგმები არ არის გაწერილი დროში.

2.1.5 დასკვნის თანახმად, მე-10 კლასში არ არის - ფიზიკის, ბიოლოგიის(ინგ), გეოგრაფიის (ინგ), სპორტის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის სასწავლო გეგმები. ასევე ქიმიის პროგრამა არ არის გაწერილი დროში, ანუ არ არის მოცემული ინფორმაცია, თუ როდის ისწავლება აღნიშნული საგანი, რა დრო ეთმობა მას, ვინ ასწავლის და როგორ ფასდება.

2.1.6 მე-11 კლასში არ არის მოცემული - ქართული ენის, რუსული ენის, სამოქალაქო განათლების, ქიმიის, სპორტის სასწავლო გეგმები. ასევე საერთოდ არ არის არჩევითი საგნის სასწავლო გეგმა.

2.1.7 საექსპერტო დასკვნის მიხედვით, მოცემული არ არის მე-7 კლასის სპორტის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის სასკოლო სასწავლო გეგმები.

2.1.8 არ არის განსაზღვრული მე-9 კლასში - ბიოლოგიის (ინგ), გეოგრაფიის (ინგ), სპორტის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სასწავლო პროგრამები.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის”.

3.1. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

3.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, შპს - თბილისის აკადემიურ სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის აქვს განსაზღვრული სასწავლო გეგმის ჩარჩო, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მიიღებს დასრულებულ სახეს და ამოქმედდება.

3.2. ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ს თანახმად, „სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად”.

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

4.1.1 ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულია, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების პრინციპები, რომლის მიხედვითაც საგნის დამლევის მინიმალური ბარიერი განსაზღვრულია 5.0 ქულით, საბაზო საფეხურის დამლევის მინიმალური ბარიერი - 5.1 ქულით, ხოლო საშუალო საფეხურის დამლევის მინიმალური ბარიერი კი - 5.1 ქულით.

4.1.2 შეფასების სისტემა არ მოიცავს შეფასების კრიტერიუმებს, ასევე კრიტერიუმების გამჭვირვალობისა და სასკოლო საზოგადოების ინფორმირების ამსახველ ინფორმაციას.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით”.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენ აზე გამოვლენილი გარემოებები

5.1.1 ექსპერტთა დასკვნაში მოცემულია, რომ მოსწავლის მშობლის ინფორმირების წესი ჩამოყალიბებულია შვიდ პუნქტად ერთ ფურცელზე, მაგრამ არ არის ასახული სკოლის შინაგანაწესში ან წესდებაში.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი“.

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

6.1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის თანახმად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სკოლის თვითშეფასების ფორმები, რომლებიც მოიცავს - მოსწავლეთა მდგომარეობების შემსწავლელ ცხრილს, მასწავლებლის ზოგადი შეფასების კითხვარს, ადმინისტრაციის მუშაობის შესაფასებელ კითხვარს, გაკვეთილების მონიტორინის ფურცელსა და კათედრის მუშაობის შეფასების კითხვარს.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

III. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - მატერიალური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა.ა) ერთ მისამართზე 250 კვ.მ ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებკონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

1.1.1 დასკვნის თანახმად, შპს - თბილისის აკადემიური სკოლა იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, ერთ მისამართზე 24-საათიანი სარგებლობის უფლებით ფლობს - 795.4 კვ.მ.-ს. საიჯარო ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.3 პუნქტის მიხედვით, საიჯარო ფართის გადაცემა უნდა განხორციელდეს 2011 წლის 1 სექტემბერს. დაწესებულების იურისტის განმარტებით, ხელშეკრულებაში აღნიშნული პირობის შეტანა უკავშირდება საიჯარო ქირის გადახდას, რომლის გადახდის ვალდებულებაც მოიჯარეს წარმოეშობა აღნიშნული თარიღიდან.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

	მისამართი	კვ.მ.
	თბილისი, შოვის ქ.№3	795.4 კვ.მ.

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

1.1.2 დასკვნის თანახმად, დაწესებულება 3-სართულიანია. პირველ სართულზე განთავსებულია ადმინისტრაციის ოთახები, კომპიუტერული კლასი, სასადილო და სველი წერტილები. საკლასო ოთახები განთავსებულია სკოლის მე-2 და მე-3 სართულებზე. ისინი აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების მქონე ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სკამებით, სასკოლო დაფებით, დაწესებულებას შპს „ინსტა-ჯორჯიისგან“ შესყიდული აქვს 13800 ლარის ღირებულების ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგია-ანატომიის

სასკოლო ლაბორატორიის აღჭურვილობა, რომელიც დაწესებულების ადმინისტრაციის განმარტებით, გადმოეცემათ ა.წ. ივნისის თვეში.

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

1.1.3 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ამ ეტაპზე დაწესებულებას სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად არ გააჩნია შესაბამისი პირობები (სპორტული დარბაზი, მოედანი, აუზი). დაწესებულებასა და სს სპორტკომპლექს „ლაგუნა-ვერე“ შორის დადებულია ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც სს სპორტკომპლექსი „ლაგუნა-ვერე“ იღებს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოფს სპორტისა და ცურვის გაკვეთილების შესაბამის დონეზე ჩატარებას.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები“.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

2.1.1 დასკვნაში აღნიშნულია, რომ დაწესებულებას აქვს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები განლაგებულია შენობის სამივე სართულზე და მოპირკეთებულია კაფელითა და მეტლახით. ათივე საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება, ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა. სამი ოთახის ფანჯარა გარედან ამოშენებულია მინის ბლოკით, რაც აბრკოლებს ბუნებრივი განათების შეღწევადობას. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, კონსტრუქციის მოხსნამდე აღნიშნული ფართი საკლასო ოთახებად არ იქნება გამოყენებული.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით“.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

3.1.1 დასკვნის თანამად, სკოლის ბიბლიოთეკა ამჟამად ჩამოყალიბების პროცესშია, მისი განთავსება იგეგმება მე-3 სართულზე, შესაბამისად, ამ ეტაპზე არ არსებობს სამკითხველო დარბაზი. სკოლის საკუთრებაში არსებული წიგნადი ფონდი შეადგენს 43 ერთეულ სახელმძღვანელოს, ისინი შეესაბამებიან სასწავლო გეგმას. დაწესებულებას შემუშავებული არა აქვს ბიბლიოთეკის დებულება, სათანადო წესით მოწესრიგებული წიგნადი ფონდის კატალოგი და სხვა.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.“

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

4.1.1 ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულია, რომ დაწესებულების ყველა სართულის კიბეზე დამონტაჟებულია პანდუსი, შენობაში შესასვლელ კიბეზე პანდუსის დამონტაჟება იგეგმება ეზოს მოპირკეთების პროცესში. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის შემუშავებულია სასწავლო გეგმის ჩარჩო.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას”.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

5.1.1 ექს პერტთა დასკვნაში მოცემულია, რომ დაწესებულების სარგებლობაშია 8 ერთეული, მაღალი სიხშირის კომპიუტერი (თითოეული მათგანი ჩართულია ინტერნეტში), რომლებიც განთავსებულია კომპიუტერულ კლასში.

ვებგვერდი ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. ვებგვერდის მისამართია: www.taschool.ge. ვებ-გვერდის უნიკოდი არის სილფაინი. მასზე განთავსებულია სკოლის წესდება, სტრუქტურა, მონაცემები აკადემიური პერსონალის შესახებ და საკონტაქტო ინფორმაცია.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ვ.ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ვ.ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

ვ.გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

ვ.დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები”.

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

6.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, შპს - თბილისის აკადემიური სკოლას პერსონალის და მოსწავლეთა უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით გააჩნია: ხანძარსაწინააღმდეგო ცენტრალური სისტემა, ამასთანავე ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლჩაქრობი ბალონი, თვალსაჩინო ადგილებზე კი გამოკრულია ევაკუაციის გეგმები.

6.1.2 დასკვნის თანახმად დაწესებულების პირველ სართულზე განთავსებულია ექიმის კაბინეტი.

6.1.3 წესრიგის დაცვის განსახორციელებლად დაწესებულება აღჭურვილია ვიდეოკამერებით, სიგნალიზაციით. დაწესებულებას იცავს შპს „ვიქტორია სექიურითი“, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. სკოლას ასევე ჰყავს დარაჯი.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

7. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები“.

7.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

7.1.1 ექსპერტთა დასკვნის თანახმად, დაწესებულების მიერ შემუშავებული შინაგანაწესის 25-ე მუხლში მოცემულია, რომ სასწავლო წელი იყოფა ტრიმესტრებად, რაც შესაბამისობაში არ მოდის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

7.1.2 დასკვნის მიხედვით, დაწესებულების წესდებითა და დებულებით გათვალისწინებულია, რომ შინაგანაწესსა და დებულებას ამტკიცებს პარტნიორთა კრება. წარმოდგენილი დოკუმენტაციით კი ირკვევა, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით.

7.1.3 შპს - თბილისის აკადემიური სკოლის დებულებაში გაწერილია საზოგადოების გენერალური დირექტორის უფლებამოსილებები და ფუნქციები, თუმცა არც დაწესებულების წესდება და არც შინაგანაწესი სკოლის სტრუქტურაში გენერალური დირექტორის თანამდებობას არ მოიაზრებს.

7.1.4 ექსპერტთა დასკვნაში ასევე მოცემულია, რომ დაწესებულების დებულების მე-5 მუხლის მიხედვით, მოსწავლეთა ფსიქო-ფიზიკურ განვითარებაზე მუდმივ დაკვირვებას ახორციელებს ფსიქოლოგიური სამსახური. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობისა და უფლებამოსილებების შესახებ არაფერია ნათქვამი არც წარმოდგენილ წესდებაში და არც დებულებაში.

7.1.5 დებულებაში ასევე მოცემულია, რომ პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე არის სკოლის დირექტორი, თუმცა წესდების თანახმად, პედაგოგიური საბჭო თავად, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს. შესაბამისად, დაწესებულების მიერ შემუშავებული წესდება, დებულება და შინაგანაწესი არ შეესაბამებიან ერთმანეთს.

7.1.6 ზოგადად წესდებაში ჩამოყალიბებულია შპს „თბილისის აკადემიური სკოლის“ მიზნები და ამოცანები, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, სტრუქტურა. მართვის ორგანოების და პერსონალის დანიშვნის და არჩევის წესი და უფლება-მოვალეობები, ასევე სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. წესდებაში პირდაპირ არ არის მითითებული სკოლის მისიის შესახებ, თუმცა ჩამოყალიბებულია სკოლის მიზნები და ამოცანები.

სკოლაში არსებობს შინაგანაწესი. იგი მოიცავს - სკოლის სტრუქტურასა და მართვას; თანამშრომელთა მიღების, გადაყვანის და დათხოვის წესს; თანამშრომელთა უფლება-მოვალეობას; წახალისების წესებს; სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის პირობებს; მოსწავლის მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) და სკოლის უფლება-მოვალეობებს; მოსწავლეთა უფლება-მოვალეობებს; თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების, სტუმრების სკოლაში გამოცხადების და გადაადგილების წესებს; მოსწავლის დისციპლინალური დარღვევები და სახდელები; შეფასების სიტემა; გადაწყვეტილებების მიღების წესი და სხვა.

ზეპირ მოსმენაზე იოსებ სალუქვაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ეთანხმებოდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გამოთქმულ შენიშვნებს. შპს - თბილისის აკადემიური სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი იზიარებდა ექსპერტთა მიერ, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების, ისე მატერიალური რესურსის ნაწილში დაფიქსირებულ შენიშვნებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს - თბილისის აკადემიური სკოლა იყო შექმნის პროცესში, ანუ იგი ჯერ-ჯერობით არ ფუნქციონირებდა და ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც დაფიქსირდა ექსპერტთა შენიშვნები, სწორედ ეს იყო. შპს - თბილისის აკადემიური სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს ასევე მოახსენა, რომ, ვინაიდან სკოლა არ ფუნქციონირებდა, ვერ მოხერხდა პროგრამების სრულყოფილად წარმოდგენა, რადგან მასწავლებლები დაწესებულებაში არ მუშაობდნენ.

წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ სწორედ ზემოთაღნიშნული მიზეზის გამო (სკოლა არ ფუნქციონირებდა) ვერ მოხერხდა ასევე სახელმძღვანელოების დადგენილი წესით

დამტკიცებაც. სახელმძღვანელოები შერჩეული იქნა მასწავლებლებთან მხოლოდ ზეპირი გასაუბრების გზით.

წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს ასევე მოასხენა, რომ მე-12 კლასში მოსწავლეების მიღებას ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში არ აპირებდა დაწესებულება და შესაბამისად, ამ მიზეზის გამო არ ჰქონდათ შემუშავებული აღნიშნული კლასის პროგრამები.

იოსებ სალუქვაძემ შპს - თბილისის აკადემიური სკოლის წარმომადგენელს განუმარტა, რომ დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო დაწესებულება აკმაყოფილებს ავტორიზაციის ყველა სტანდარტს.

7.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

8. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს“.

8.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

8.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. გრძელვადიან გეგმაში არ არის მოცემული ჩასატარებელი ღონისძიებების გამართვის დრო, ინფორმაცია პასუხისმგებელი პირის შესახებ, საჭირო რესურსების ჩამონათვალი, მისაღწევი შედეგები. გათვალისწინებული არ არის მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმები (მაგალითად: იგეგმება თუ არა სპორტული მოედნის ან დარბაზის მოწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და სხვა).

8.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

9. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა“.

9.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

9.1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულია, რომ დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტების და კორესპონდენციის აღრიცხვა.

9.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

IV. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - ადამიანური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი“.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

1.1.1 დასკვნის თანახმად, ამჟამად სკოლაში მოსწავლეები არ ირიცხებიან. სკოლის საბაზო და საშუალო საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს 19 პედაგოგი. სკოლას ემსახურება ექიმი, ადმინისტრაციული, ტექნიკური და დამხმარე პერსონალის რაოდენობა შეადგენს 6-ს.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად“.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

2.1.1 ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულია, რომ სკოლის ადმინისტრაციის მიერ შერჩეულ პედაგოგებთან დადებულია შრომითი ხელშეკრულებები. ხელშეკრულებებიდან არ ირკვევა, თუ რომელი საგნის პედაგოგად არის დანიშნული ესა თუ ის პირი. მასწავლებელთა პირად საქმეებში ასევე არ დევს უმაღლესი განათლების მიღების დამადასტურებელი დიპლომის ასლები. შესაბამისად, მათი კვალიფიკაცია დასტურდება მხოლოდ წარმოდგენილი CV-ების საშუალებით.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა“.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

3.1.1 დასკვნის მიხედვით, თანამშრომელთა მიღებისა და გათავისუფლების წესი განსაზღვრულია დაწესებულების შინაგანაწესით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს წახალისების და სანქციების სისტემა, რომელიც ასევე განსაზღვრულია შინაგანაწესით.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები“.

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

4.1.1 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალთან და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები“.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

5.1.1 დასკვნის თანახმად, დაწესებულების 6-წლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, კერძოდ, ტრეინინგებისა და სემინარების ჩატარებას, მასწავლებელთა მომზადებას სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მომზადებასა და სხვა.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას“.

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლა ამჟამად არ ფუნქციონირებს.

V. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის აკადემიური სკოლისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

მოწინააღმდეგე - 6

VI. გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თბილისის აკადემიურ სკოლას უარი ეთქვას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მინიჭებაზე.

იოსებ სალუქვაძე

საბჭოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი

გაიანე სიმონია

საბჭოს მდივანი